# გუშინწინ თბილისში საზეიმოდ გაიხსნა საქართველოს პროფკავშირების ფიზკულტურული კოლექტივებისა და სპორტკლუბების სპარტაკიადა


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 131 (4641)

1972 წ. 6 ივლისი, ხუთშაბათი. ფასი 2 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან


## 50 ალამი აღმართეს

საქართველოს პროფსაბჭოს ფიზკულტურული კოლექტივებისა და სპორტკლუბების სპარტაკიადა სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავს ეძღვნება. კომპლექსურმა შეჯიბრებამ, რომლის პროგრამაშიც რვა სახეობა შედის, სტარტი 22 ივნისს აიღო, როცა ქუთაისში მოზარდი მოცურავეები გამოვიდნენ სარბიელზე. მერე თბილისში ცურვაში უფროსები შეეჯიბრნენ ერთმანეთს. 3 ივლისს კი სპარტაკიადაში ერთდროულად ჩაებნენ მძლეოსნები, ძალოსნები, თავისუფალი და ქართული ჭიდაობის ოსტატები, ტყვიის მსროლელები, ველოსიპედისტები. დღეს დაიწყება შეჯიბრება სპორტულ ტანვარჯიშში.

გუშინწინ თბილისში, კიროვის სახელობის პარკის დახურულ მოედანზე, სპარტაკიადის საზეიმო გახსნა მოეწყო. მოედანზე თავიანთი სპორტსაზოგადოებების ალმებით მწყობრი ნაბიჯით შემოვიდნენ ნაკრები გუნდები, რომელთაც მიესალმა სპარტაკიადის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს პროფსაბჭოს მდივანი ო. ცანავა. მან შეჯიბრების მონაწილეებს შრომაში, სწავლასა და სპორტში ახალი წარმატებები უსურვა.

ნაკრები გუნდების კაპიტნებმა სპარტაკიადის ალამი აღმართეს. ო. ცანავა სპარტაკიადის მთავარ მსაჯს, სპორტის დამსახურებულ ოსტატ ბ. პაიჭაძეს განკარგულებას აძლევს, რომ მოვალეობის შესრულებას შეუდგეს.

აღლუმის მონაწილენი მოედანს ტოვებენ. გაისმის ქართული საჭიდაოს ჰანგები. ხალიჩაზე გრძელდება ტურნირი ქართულ ჭიდაობაში.

* * *

სურათზე: სპარტაკიადის საზეიმო გახსნის მომენტი.

ო. გელაშვილის ფოტო.



## საქანდელიძის კანდიდატურა ეჭვს არ იწვევს

მიუნხენი, 4 ივლისი. გუშინ ოლიმპიადის დედაქალაქში დამთავრდა კალათბურთელთა საერთაშორისო ტურნირი. I ადგილი დაიკავა სსრ კავშირის ნაკრებმა, რომელმაც ჯერ იტალიის გუნდი დაამარცხა (95:75), მერე მასპინძლები (102:65), გუშინ კი ჩეხოსლოვაკიის ნაკრები (84:74). II ადგილზეა გფრ-ის კოლექტივი, III — ჩეხოსლოვაკიის ნაკრები, IV — იტალიის ეროვნული გუნდი.

ტურნირის შემდეგ სსრ კავშირის ნაკრების უფროსი მწვრთნელი ვ. კონდრაშინი ჟურნალისტებს ესაუბრა. მან თქვა, რომ მიუნხენის მატჩებს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა, ვინაიდან შესამოწმებელი ჰყავდა ნაკრების რამდენიმე წევრი, კერძოდ, ვოლნოვი, საკანდელიძე, ქორქია და დვორნი. ქორქიამ, უფროსი მწვრთნელის აზრით, კარგად ჩაატარა სეზონი თბილისის „დინამოში", ზოგიერთ მატჩში კი ბრწყინვალედ ითამაშა. აი, ევროპის ჩემპიონატსა და სან-პაულუს საერთაშორისო ტურნირში კი თავი ვერ გამოიჩინა. „გვაინტერესებდა საკანდელიძის სპორტული ფორმაც. კონტინენტის ჩემპიონატი ესენში თბილისელმა კალათბურთელმა უმაღლეს დონეზე ჩაატარა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მან ფინალურ მატჩში იუგოსლავიის ნაკრებთან. ჩვენ არ დაგვიწყებია, რომ სსრ კავშირის ნაკრების გამარჯვების ერთ-ერთი მთავარი „დამნაშავე" სწორედ საკანდელიძე იყო. ესენის შემდეგ თბილისელი სპორტსმენი სხვადასხვა მიზეზით არ თამაშობდა ნაკრებში. და აი, ახლა მოგვეცა მისი გასინჯვის საშუალება", — თქვა კონდრაშინმა.

— როგორია თქვენი დაკვირვების შედეგი, — ჰკითხა ერთ-ერთმა კორესპონდენტმა მწვრთნელს.

— არ მოვტყუვდით, როცა ნაკრებში ვოლნოვი მოვიწვიეთ. იგი ჩვენს თვალწინ, მატჩიდან მატჩამდე „იზრდებოდა". ვოლნოვი გამოცდილი მებრძოლია და ვფიქრობ, ნაკრებს დიდ სარგებლობას მოუტანს, განსაკუთრებით, დაცვაში. ეჭვს არ იწვევს საკანდელიძის ხონაწილეობაც ნაკრებში. რაც შეეხება ქორქიასა და დვორნის, მათი ბედი მთლიანად მათზევეა დამოკიდებული. ერთსაც და მეორესაც საშუალება აქვს თავი გამოიჩინოს ჯერ იური გაგარინის მემორიალში, მერე კი იტალიურ ტურნეში, რომელსაც ჩვენი ნაკრები ზედ ოლიმპიადის წინ მოაწყობს.

## გულწრფელი მადლობა

### საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარეს გ. სიხარულიძეს

სპორტულ ტანვარჯიშში სსრ კავშირის ოლიმპიური ნაკრების კანდიდატები და მწვრთნელები გულწრფელ მადლობას გწირავთ, რომ მოგვეცით შესაძლებლობა მიუნხენის ოლიმპიადისთვის საწვრთნელი შეკრება დაბა ლესელიძის პანსიონატ „სპორტში" ჩაგვეტარებინა.

პანსიონატის მუშაკთა მთელმა კოლექტივმა, დირექტორმა მ. სურმავამ ყველაფერი შესაძლებელი გააკეთეს, რათა ჩვენთვის წვრთნის საუცხოო პირობები შეექმნათ. ყველანი გარემოსილი ვიყავით დიდი ზრუნვითა და ყურადღებით. კვებაც საუცხოო იყო. სულ მოკლე დროში შესრულდა დიდი სამუშაო დარბაზის მეორე ნაწილის მშენებლობისთვის, სადაც საუკეთესო თანამედროვე მოწყობილობა დაიდგა.

თავს არ დავზოგავთ, რათა ამ ზრუნვას ოლიმპიურ თამაშებში წარმატებით ვუპასუხოთ.

კიდევ ერთხელ, გულწრფელ მადლობას მოგახსენებთ.

ტანმოვარჯიშეები: ლ. ტურიშჩევა, თ. ლაზაკოვიჩი, ლ. კორბუტი, ზ. ვორონინა, ე. საადი, ლ. ბურდა, ო. ვორონილინა, ლ. კარასიოვა;

მწვრთნელები: ლ. ლატინინა, ს. მურატოვა, ვ. დმიტრიევი;

აკომპანიატორი ე. ვევრიკი.

## მხოლოდ ორი საგარეჯოელი მოჭიდავე

ბოლო წლებში ჩვენი რესპუბლიკის რაიონებსა და ქალაქებში ქართული ჭიდაობის პოპულარობამ მკვეთრად იკლო. სწორედ ჭიდაობის ამ ეროვნული სახეობის შემდგომი განვითარების მიზნით, საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის სპეციალური დადგენილების საფუძველზე ქართული ჭიდაობა რესპუბლიკის პროფესიული კავშირების სპარტაკიადის პროგრამაშიც შეიტანეს.

ასპარეზობა ორ დღეს მიმდინარეობდა კიროვის სახელობის პარკის სპორტულ მოედანზე, სადაც გამარჯვებისთვის „სპარტაკის", „ბურევესტნიკის", „განთიადისა" და „ლოკომოტივის" მოჭიდავეები იბრძოდნენ.

შეჯიბრების დაწყებისთანავე ინიციატივა ხელთ იგდეს ბურევესტნიკელებმა. სტუდენტებმა 75 ქულა დააგროვეს და სამართლიანადაც დაისაკუთრეს I ადგილი.

ქულათა თანაბარი რაოდენობა (70-70) მიიღეს „სპარტაკისა" და „განთიადის" გუნდებმა. II ადგილის ბედი გადაწყვიტა პირადი პირველობის პრიზიორთა ბალანსმა, რომელიც განთიადელებს უკეთესი აღმოაჩნდათ.

წონითი კატეგორიების მიხედვით სპარტაკიადის ჩემპიონები გახდნენ: დ. ჯუგაშვილი („ბურევესტნიკი"), გ. ფარადაშვილი („ლოკომოტივი"), ო. აკოფაშვილი („განთიადი"), ს. ჯინორიძე („ბურევესტნიკი"), გ. დილმელაშვილი („სპარტაკი"), გ. ახალაური („განთიადი"), ა. დილმელაშვილი („სპარტაკი"), გ. თანდილოვი („ბურევესტნიკი").

საგარეჯოელი მოჭიდავეები წლების მანძილზე თავს არიდებენ შეჯიბრებებს ქართულ ჭიდაობაში. წლეულს სხვადასხვა პირველობის სარბიელზე ქართულ ჭიდაობაში მათი მხოლოდ ორი წარმომადგენელი გამოვიდა: გიორგი და ავთანდილ დილმელაშვილები, რომლებიც აღნიშნული სპარტაკიადის ჩემპიონებიც გახდნენ. როგორც თვითონ აღნიშნეს, ეს სპორტსმენები შეჯიბრებებში თავიანთი სურვილით მონაწილეობენ.

ასპარეზობის დროს რამდენიმე მოჭიდავე უწესოდ მოიქცა. მართალია, მსაჯთა კოლეგიამ დასაჯა ზოგიერთი მათგანი, სახელდობრ, ლოკომოტიველი ა. ბექაური (მსაჯების გადაწყვეტილებით უკმაყოფილო ბექაურმა მეტოქეს ხელი არ ჩამოართვა და პროტესტის ნიშნად ჩოხა ჯალამდე გაიძრო), მაგრამ ასეთ საქციელს მეტი ყურადღება უნდა მიექცეს, რადგანაც ქართული ჭიდაობის ტრადიციებს ასეთი რამ არ სჩვევია.

ვ. ქოზელაშვილი.

* * *

სურათზე: სპარტაკიადის მეორე პრიზიორი 78 კგ წონით კატეგორიაში — განთიადელი გ. ოქროპირიძე ილეთს უტარებს რკინიგზელ მ. გოგიშვილს.

ო. გელაშვილის ფოტო.



## ალაპი ააკაკი-72

● ოსლო, 4 ივლისი. სახელგანთქმულ „ბიშლეტის" სტადიონზე საერთაშორისო შეჯიბრებაში რიგელმა ი. ლუსისმა შუბის ტყორცნაში წლეულს მსოფლიოში საუკეთესო შედეგს მიაღწია — 90,76 მ. შესანიშნავად იასპარეზეს ბულგარელმა მძლეოსნებმაც. ევროპის ექს-ჩემპიონმა მ. ჟელევმა მოიგო 3000 მეტრზე წინაღობებით რბენა — 8.25,4. ეს შედეგი ერთ-ერთი საუკეთესოა წლეულს მსოფლიოში (II ადგილი დაიკავა ამ სახეობაში მსოფლიო რეკორდსმენმა, ავსტრალიელმა კ. ო'ბრაიენმა — 8.25,6, ხოლო III — ასეთივე დროით — პოლონელმა ი. კონძიორმა). დ. იორგოვამ ყველას აჯობა სიგრძეზე ხტომაში (659 სმ), ხოლო ს. ზლატევამ — 400 მეტრზე რბენაში (53,5 წამი).

● იუჯინი (ორეგონის შტატი). 4 ივლისი. ამერიკის შეერთებული შტატების ოლიმპიელ მძლეოსანთა შესარჩევ შეჯიბრებაში თავი გამოიჩინა 26 წლის ჯეფ ბანისტერმა, რომელიც ათჭიდელთა ასპარეზობის პირველი დღის შემდეგ დაწინაურდა — 4263 ქულა. ბანისტერის (სიმაღლე 190 სმ, წონა 91 კგ) შედეგები ასეთია: 100 მ — 10,8 წამი, სიგრძეზე ხტომა — 735 სმ, სიმაღლეზე ხტომა — 198 სმ, ბირთვის კვრა — 14,63 მ, 400 მ — 47,7 წამი.

## ორი საკავშირო

უკრაინის მძლეოსნები მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადისთვის, რომელიც მათს რესპუბლიკაში გაიმართება, კარგად მომზადებულან. ბელაია ცერკოვში უკრაინის მოსწავლეთა სპარტაკიადის პროგრამით გამართულ ტურნირში რესპუბლიკის მოზარდთა და მოზრდილთა რამდენიმე და ორიც ჭაბუკთა საკავშირო რეკორდი დამყარდა. 15-16 წლის ჭაბუკთა შორის საბჭოთა კავშირის რეკორდსმენი გახდა კიეველი ვ. სერედა, რომელმაც ჯერ 400 მეტრზე რბენაში ისახელა თავი (49,4), შემდეგ კი ამავე დისტანციაზე თარჯრიბენში — 53,9.

სიმაღლეზე ხტომაში 2 მეტრი ექვსმა ჭაბუკმა გადალახა, გამარჯვებულმა — 17 წლის ჩერნოვცელმა ს. სენიუკოვმა კი 208 სმ დაძლია. 15 წლის მუკაჩოველმა გოგონამ ვ. კანიუკმა ხუთჭიდში 3953 ქულა მოაგროვა, რაც რესპუბლიკური რეკორდია ერთდროულად საშუალო და უფროსი ასაკის გოგონებისთვისაც და ქალიშვილებისთვისაც. კანიუკმა ოსტატის ნორმატივები ხუთჭიდსა და სიმაღლეზე ხტომაში (170 სმ) შეასრულა.

## უიმბლდონის კორტებზე

ლონდონი, 5 ივლისი. უიმბლდონის ტურნირის მეოთხედფინალურ მატჩში თბილისელი ა. მეტრეველი დამარცხდა ამერიკელ ს. სმითთან — 2:6, 6:8, 2:6. სმით ჩოგბურთის სპეციალისტები ამ ტურნირში საბოლოო გამარჯვებას უწინასწარმეტყველებენ.

ქალთა წყვილების თანრიგში ო. მოროზოვამ (სსრ კავშირი) და ლ. ჰანტმა (ავსტრალია) წააგეს შეხვედრა რ. კაზალსთან (აშშ) და ვ. უეიდთან (დიდი ბრიტანეთი) — 3:6, 2:6.

უაღრესად მწვავე ბრძოლით აღინიშნა მოროზოვასა და მეტრეველის შერეული წყვილის გამოსვლა მეოთხე წრეში. ისინი დამარცხდნენ ავსტრალიელებთან ქ. კრანტცკესთან და ქ. დიბლისთან — 4:6, 6:4, 7:9.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ჭადრაკი“ № 4



გამოვიდა ალმანახ „ჭადრაკის“ მეოთხე ნომერი, რომელიც ძირითადად ნ. გაფრინდაშვილის მეოთხე დიდ გამარჯვებას ეძღვნება.

ასეთ დიდ ამბავს დაუგვიანებლად რომ ეხმაურებიან რადიო, ტელევიზია და გაზეთები, არავის უკვირს, მაგრამ ალმანახი მსოფლიო პირველობაზე გაფრინდაშვილ — კუშნირის მატჩის დამთავრებისთანავე რომ გამოვიდა, ეს უკვე სასიამოვნო სიურპრიზია ეს გამომცემლობა „განათლების“ თანამშრომლების, ალმანახის რედკოლეგიის, თბილისელი მოჭადრაკეებისა და ჟურნალისტების ნამდვილი შემოქმედებითი გამარჯვებაა.

ალმანახის ყდიდან გვიღიმის მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი — ჭადრაკის გულშემატკივართა სიხარული და სიამაყე. დიახ, ნონამ ბევრი აალელვა, ბევრს ძილიც დაუფრთხო, მაგრამ ბოლოს ყველას უდიდესი კმაყოფილება აგრძნობინა. სწორედ ამ გრძნობითა და სავსე გულით მიესალმებიან მას გამოჩენილი თანამემამულენი.

ცნობილი პოეტი ხუტა ბერულავა (გამომცემლობა „განათლების“ დირექტორი და ალმანახის დაარსების თაოსანი) მიმოიხილავს ნონას 10 წლის „მეფობას“ ქალთა ჭადრაკში. მსოფლიოს მესამე მოჭადრაკემ ნანა ალექსანდრიამ ნონას ახალი პრეტენდენტი უსურვა. ეს საგულისხმოა, მით უმეტეს, თუ პრეტენდენტი თვითონ ნანა იქნება.

მკითხველი ალმანახში გაეცნობა მატჩის თექვსმეტივე პარტიას, ზოგიერთს დიდოსტატ ა. გიპსლისისა და ოსტატ ა. ბუსლაევის კომენტარებით. დაბეჭდილია, აგრეთვე, „რეპორტაჟი „ოქროს დარბაზიდან“, რომელშიც თ. გიორგაძე ლაპარაკობს მატჩის სპორტულ და შემოქმედებითს მხარეზე, მის შედეგებზე.

ალბათ ყველა ინტერესით გაეცნობა ნ. გაფრინდაშვილის, ა. გიპსლისის, ა. შმიტის, ე. იურკოვის, ა. კორელოვის, მ. ტალის, თ. სტრანდსტრემისა და სხვათა ინტერვიუს, ჟურნალისტ შ. ლარცულიანის ჩანახატს „ერთი წუთი კუშნირთან“, აგრეთვე, ფოტოკორესპონდენტ მ. ზარგარიანის ვერნისაჟს.

ამჟამად ჭადრაკის სამყაროში ბევრს ლაპარაკობენ სპასკი — ფიშერის მატჩზე. ალმანახშიც არის დაბეჭდილი ამ ორთაბრძოლისადმი მიძღვნილი ა. ბუსლაევისა და შ. ორბელიძის წერილები.

კომპოზიციის მოყვარულნი ალმანახში ნახავენ კონკურსში „საქართველო-72“ გამარჯვებული ქართველი ავტორების ნამუშევრებს.

ალმანახი 4 ათასი ცალი დაისტამბა, ღირს 50 კაპ.

თ. ნინოშვილი.

# ლუჟნიკის ფიცარნაგიდან — ოლიმპიურზე

სსრ კავშირის თასის გათამაშებისა და მრავალჭიდის ცალკეულ სახეობებში საკავშირო ჩემპიონატის მეექვსე დღე მოსკოვში ცალკეულ იარაღებზე ვაჟთა შეჯიბრებით დამთავრდა. XX საზაფხულო ოლიმპიადის გახსნამდე დარჩენილ თვენახევარში საბჭოთა მოწინავე ტანმოვარჯიშე ვაჟებს დიდი ოფიციალური შეჯიბრებები აღარ ექნებათ. ასე რომ, ლუჟნიკის ფიცარნაგიდან ისინი პირდაპირ, თუ შეიძლება ითქვას, ოლიმპიურზე გადავლენ.

შეჯიბრების ბოლო დღეს ყველაზე მეტი ოქროს ჯილდო მოიპოვა ევროპის აბსოლუტურმა ჩემპიონმა, მოსკოველმა ვ. კლიმენკომ. მან მოიგო ხტომა, ტაიჭზე და ორძელზე შეჯიბრება. განვლილ ტურნირში კინაღამ დაამხო რამდენიმე არაოფიციალური საკავშირო რეკორდი. მაგალითად, ლ. ტურიშჩევას თასის გათამაშებაში საპატიო ჯილდო რომ მოეპოვებინა, საბჭოთა ტანმოვარჯიშე ქალთა შორის თასის პირველი ოთხგზის მფლობელი იქნებოდა. კლიმენკოს დღეს საღამოს ბოლო იარაღზე — ღერძზე რომ გაემარჯვნა, საბჭოთა ტანმოვარჯიშე ვაჟებიდან პირველი მიიღებდა ჩემპიონატის ოთხ უმაღლეს ჯილდოს, მაგრამ ეს „რეკორდები“ არ დამყარებულა. ქალთა შორის თასი პირველად ხვდა ო. კორბუტს. ვაჟთა შორის კი ღერძზე, ისევე როგორც მანამდე თავისუფალ ვარჯიშში, პირველობდა სსრ კავშირის აბსოლუტური ჩემპიონი და თასის მფლობელი, ახალგაზრდა ვლადიმირელი ტანმოვარჯიშე ნ. ანდრიანოვი (მანვე დანარჩენ ოთხ იარაღზე ვერცხლის მედლები მოიპოვა). რგოლებზე გაიმარჯვა მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა მ. ვორონინმა (მოსკოვი).

20 წლის ანდრიანოვი, 23 წლის კლიმენკო და 27 წლის ვორონინი საბჭოთა ოლიმპიური გუნდის პირველი ნომრები არიან. ვინ ამოუდგება მათ მხარში? ახლა შეიძლება ითქვას, ნაკრებში მოხვედრის ყველაზე მეტი შანსი აქვთ 22 წლის ე. მიქაელიანს (ერევანი), მინსკელ ა. მალეევს (იგი 25 წლისაა) და ასევე მინსკელ სპორტსმენს, 20 წლის ვ. შჩუკინს.

ქვეყნის ოლიმპიურ ნაკრებში შევიდა ბელორუსიის ორი ტანმოვარჯიშე, რაც ამ რესპუბლიკის სპორტსაზოგადოებათა დიდ წარმატებას მოწმობს. ბელორუსიას ქალთა გუნდშიც ძლიერი წარმომადგენლები ჰყავს: ევროპის აბსოლუტური ჩემპიონი თ. ლაზაკოვიჩი, სსრ კავშირის თასის მფლობელი და ქვეყნის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი მრავალჭიდში ო. კორბუტი, აგრეთვე, ა. კოშელი. ოლიმპიურ გუნდში შედიან მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონი ლ. ტურიშჩევა და სსრ კავშირის 1970 და 1971 წლების ჩემპიონი ლ. ბურდა. გუნდის კანდიდატები არიან: ქვეყნის ჩემპიონი ღვირზე და თავისუფალ ვარჯიშში ე. საადი, მეხსიკის ოლიმპიადის ჩემპიონები გუნდურ ჩათვლაში ო. კარასიოვა და ზ. ვორონინა, აგრეთვე, ნორჩი სპორტსმენი ნ. დრონოვა, რომელმაც ნატკენი ხელი უკვე მორჩინა და ამ კვირაში ისევ შეუდგა წვრთნას.

ვ. დვორცოვი.
(საქდესის კორ.).
მოსკოვი, 4 ივლისი.

### ტექნიკური შედეგები

სსრ კავშირის ჩემპიონატი მრავალჭიდის ცალკეულ სახეობებში.

**თავისუფალი ვარჯიში.** ანდრიანოვი — 19,0, მიქაელიანი — 18,825, შჩუკინი — 18,8. **ტაიჭი.** კლიმენკო — 18,95, ანდრიანოვი — 18,85, ვ. ხოხლოვი (ლენინგრადი) — 18,825. **ბჯენითი ხტომა.** კლიმენკო — 18,775, ანდრიანოვი — 18,75, ა. კატკოვი (მოსკოვი) — 18,725. **რგოლები.** ვორონინი — 18,75, ანდრიანოვი — 18,725, ვ. ბოიკო (მოსკოვის ოლქი) — 18,7. **ორძელი.** კლიმენკო — 18,875, ანდრიანოვი — 18,675, მიქაელიანი — 18,625. **ღერძი.** ანდრიანოვი — 19,1, მიქაელიანი — 19,025, კლიმენკო — 18,95.

# სტარტზე არიან ფეიქრები

საქართველოს საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის მუშაკები ისე ხვდებიან თავიანთ ყოველწლიურ სპარტაკიადას, როგორც ტრადიციულ და სასიხარულო დღესასწაულს. ჩვეულებრივ, ეს შეჯიბრება წინ უძღვის „განთიადის“ ტრადიციულ რესპუბლიკურ სპარტაკიადას. სხვათა შორის, საზოგადოების დღემდე ჩატარებული ხუთი სპარტაკიადიდან ოთხი სწორედ ფეიქრებმა მოიგეს.

VI ტრადიციული ასპარეზობისთვის მზადება ადრე გაზაფხულიდანვე დაიწყო. დათბა თუ არა, ფიზკულტურელები „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის“ ახალი კომპლექსის სტარტზე გამოვიდნენ. შემდეგ მასობრივი სპარტაკიადები ჩატარდა აჭარის, აფხაზეთის, ქუთაისისა და თბილისის ზონებში. მალე ამას გორელთა და ცხინვალელთა ზონალური შეჯიბრებები მოჰყვა.

თბილისის ფინალური ასპარეზობისთვის ნაკრები გუნდების შედგენის დროს უმთავრესი ყურადღება მძლეოსნობას, ცურვას, სროლას, ძალოსნობას, მაგიდის ჩოგბურთსა და ველოსპორტს ექცეოდა.

რასაკვირველია, ყველაზე საინტერესო სანახაობა ასპარეზობის გახსნის ზეიმი და აღლუმი იყო. მაუდ-კამვოლის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს“ (სპორტკლუბი „ივერია“) ლამაზად გაფორმებულმა სტადიონმა სტუმართმოყვრულად გაუღო კარი შეჯიბრების მონაწილეებს.

... და აი, უკან დარჩა მიმზიდველი, საინტერესო ორთაბრძოლები — სპარტაკიადა ერთ კვირაში დამთავრდა. 11 ივნისს კიკეთის მიდამოებში მოეწყო ტურისტული შეკრება, რომელიც მსუბუქი მრეწველობის მუშაკთა დღეს მიეძღვნა. გამარჯვებულებს ჯილდოები გადასცეს. აქაც თბილისელები პირველობდნენ (13 ქულა). მათ ორი პირველი (მაგიდის ჩოგბურთი, შაში) და რამდენიმე საპრიზო ადგილი მოიპოვეს. გამარჯვებულებს ქულით ჩამორჩნენ ქუთაისის ზონის სპორტსმენები (მოიგეს ჭადრაკი და ცურვა). III ადგილზე არიან გორელები.

თავიანთი შესაძლებლობები მთლიანად ვერ გამოავლინეს აფხაზეთისა და აჭარის წარმომადგენლებმა, რომლებსაც სხვა საპრიზო ადგილები ხვდათ (მხოლოდ ერთი I ადგილი მოიპოვეს ბათუმელებმა — მძლეოსნებმა).

საქართველოს საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის მუშაკთა შორის კვლავ უძლიერეს კოლექტივებად ითვლებიან სპორტკლუბები „ფეიქარი“ და „ივერია“, ფეხსაცმლის № 1 ფაბრიკა „ისანი“, გორის ბამბეულის კომბინატი, ქუთაისის აბრეშუმის კომბინატი და № 1 სამკერვალო გაერთიანება, თბილისის 1-ლი, მე-6 და მე-7 სამკერვალო ფაბრიკები.

გ. კოვალიოვი,
საკავშირო კატეგორიის მსაჯი.



ახლახან ცხაკაიაში მწყობრში ჩადგა ბავშვთა სპორტსკოლის ახალი, კეთილმოწყობილი დარბაზი. ცხაკაიელ ნორჩებს სხვადასხვა სახეობაში ვარჯიშის შესანიშნავი პირობები შეექმნათ.

სურათზე: ახალი დარბაზის ხედი.

ნ. შეპოტკინის ფოტო.

## „ლელოს“ წერილების კვალდაკვალ

# SOS!

„ლელოს“ 6 ივნისის ნომერში ასეთი სათაურით დაიბეჭდა წერილების მიმოხილვა. იქ ნათქვამი იყო, რომ ხაშურის რაიონის სოფლების ქინძათისა და ტეზრის, აგრეთვე, გალის რაიონის სოფელ გუდავის ახალგაზრდებს კეთილმოწყობილი სპორტული ბაზები არ გააჩნიათ.

„კოლმეურნის“ ხაშურის რაისაბჭოს თავმჯდომარე ს. ლომიძე გვატყობინებს, რომ წერილში აღნიშნული ფაქტები დადასტურდა. იგი გვწერს: „მოველაპარაკეთ ამ სოფლების კოლმეურნეობების გამგეობათა თავმჯდომარეებს. ახალგაზრდებს უახლოეს ხანში გადაეცემათ ნაკვეთი, სადაც სპორტული ბაზა მოეწყობა“.

„კოლმეურნის“ გალის რაისაბჭოს თავმჯდომარე შ. ჩხეტიანი გვწერს: „კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე ს. აქუბარდია დაგვპირდა, რომ არსებული ფეხბურთის მინდვრის გაფართოება და მოწესრიგება 10 ივლისისთვის დასრულდება“.

# სპორტული ხაშური

რამდენიმე დღეს გრძელდებოდა რაიონის სპორტსაზოგადოებათა პირველობა ჭადრაკსა და მაგიდის ჩოგბურთში. ჭადრაკში გუნდური I ადგილი მოიპოვეს „განთიადის“ წარმომადგენლებმა. მაგიდის ჩოგბურთში გაიმარჯვა რაიონის ჩარშანდელმა ჩემპიონმა „ლოკომოტივმა“.

* * *

ახლახან წრომის სასოფლო კლუბში გაიმართა შეჯიბრებები ჭადრაკსა და შაშში. საჭადრაკო ტურნირში გაიმარჯვა ვ. მურჯიკნელმა, შაშში — მარინე მურჯიკნელმა.

* * *

გაიმართა რაიონის პირადი პირველობა მაგიდის ჩოგბურთში. წაუგებლად ითამაშა ლოკომოტიველმა ს. ნოზაძემ, რომელმაც I ადგილიც დაიკავა.

საფეიქრო-საგალანტერეო ფაბრიკაში ჭადრაკს ბევრი მოყვარული ჰყავს. ახლახან აქ მოეწყო ერთდროული თამაშის სეანსი, რომელიც 15 დაფაზე გაიმართა. მექანიკური ქარხნის ინჟინერთან, ოსტატობის კანდიდატ გ. სტეფანიშვილთან ფაბრიკის მუშებმა ო. მაღლაკელიძემ და მ. ბარბაქაძემ შეხვედრა ყაიმით დაამთავრეს. დანარჩენი პარტიები სტეფანიშვილმა მოიგო.

* * *

რამდენიმე დღეს მიმდინარეობდა „კოლმეურნის“ რაისაბჭოს პირადი პირველობა შაშში. ვაჟებში ყველას აჯობა ი. მათიაშვილმა, ქალებში — ნ. წეველიძემ (ორივე — სურამის კოლმეურნეობა).

* * *

ორ დღეს გაგრძელდა რაიონის მოსწავლეთა პირად-გუნდური შეჯიბრება ტყვიის სროლაში. I ადგილი დაიკავა ხაშურის 1-ლი საშუალო სკოლის გუნდმა

ზ. მოსეშვილი,
ფიზკულტურისა და სპორტის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე.

# კიდევ სამი წლით

ბუქარესტი, 3 ივლისი. ყინულზე ჰოკეის საერთაშორისო ლიგის (ლიჰგ) საზაფხულო კონგრესმა, რომელიც ამ დღეებში რუმინეთის საკურორტო ქალაქ მამაიაში ტარდება, ლიგის პრეზიდენტად, კიდევ სამი წლით, აირჩია ინგლისელი ჯ. აჰერნი. ვიცე-პრეზიდენტებად არჩეული არიან მ. შუბრტი (ჩეხოსლოვაკია) და უ.-ტ. ტატი (აშშ). ლიგის აღმასკომის წევრთა შორის ისევ აირჩიეს საბჭოთა კავშირის დელეგატი კონგრესზე, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი ა. სტაროვოიტოვი.

კონგრესმა დაადგინა, რომ 1974 წლიდან მოყოლებული, ჩატარდეს მსოფლიო ჩემპიონატები იუნიორებისთვისაც (თამაშის უფლება აქვთ 21 წლამდე ასაკის ჰოკეისტებს). უწინდებურად ყოველწლიურად მოეწყობა ევროპის მოზარდ ჰოკეისტთა (19 წლამდე) ჩემპიონატებიც.

იუნიორთა პირველ მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობის სურვილი 11 ქვეყანამ გამოთქვა. შეჯიბრების ორგანიზაციაზე განაცხადი წარადგინა ჩეხოსლოვაკიის ჰოკეის ფედერაციამ.

1973 და 1974 წლების მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატები, როგორც ცნობილია, მოსკოვსა და ჰელსინკში ჩატარდება. კონგრესმა 1975 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარების უფლება გფრ-ს მისცა (მიუნხენი და დიუსელდორფი), 1976 წლის ჩემპიონატისა კი ავსტრიას (ვენა და ინსბრუკი).

როგორც ა. სტაროვოიტოვმა საქდესის კორესპონდენტს აცნობა, კანადელმა დელეგატებმა კვლავ ითხოვეს მსოფლიო ჩემპიონატების სარბიელზე პროფესიონალ ჰოკეისტთა დაშვება. კონგრესმა ამ საკითხის მომზადება დაავალა ოთხი კაცისგან შემდგარ კომისიას, რომელშიც საბჭოთა ქვეყნის წარმომადგენელიც არის. საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებს საერთაშორისო ლიგის კონგრესი, რომელიც მოსკოვში გაიმართება 1973 წლის აპრილში.

## მატჩზე — 19 ჰოკეისტი

მამაია (რუმინეთი), 4 ივლისი. ყინულზე ჰოკეის საერთაშორისო ლიგის (ლიჰგ) აქ მიმდინარე კონგრესმა დაადგინა, რომ ამიერიდან მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებში ყოველ გუნდს მატჩზე 19 ჰოკეისტის, მათ შორის, ორი მეკარის გამოყვანა შეეძლება (აქამდე თამაშზე განაცხადში 17 კაცის შეყვანა შეიძლებოდა). რაოდენობა ჰოკეისტებისა, რომელთაც მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებში მონაწილეობა შეუძლიათ, ძველებური დარჩა — 20.

ამ კონგრესის საბჭოთა დელეგატი ა. სტაროვოიტოვი ლიჰგ-ის მსაჯთა კომისიის თავმჯდომარედ აირჩიეს.

## [illegible]

პარიზი, 5 ივლისი. საფრანგეთისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მძლეოსანთა მატჩში მონიკა ცერტმა (გდრ) ევროპის რეკორდი დაამყარა 400 მეტრზე რბენაში — 51,0 წამი. ეს შედეგი მსოფლიო რეკორდის გამეორებაა, რომელიც 1970 წლიდან ეკუთვნის იამაიკელ მერილინ ნეფვილს.

**400 მ — 51,0!**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფეხბურთი-72

## სსრ კავშირის პირველობა

### II ლიგა III ზონა

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 6 ივლისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „კუბანი“ (კრასნოდარი) | 15 | 8 | 4 | 3 | 22—6 | 20 |
| „მეტალურგი“ (ლიპეცკი) | 14 | 7 | 6 | 1 | 21—8 | 20 |
| „მერცხალი“ (მახარაძე) | 15 | 10 | 0 | 5 | 22—16 | 20 |
| „დრუჟბა“ (მაიკოპი) | 14 | 6 | 6 | 2 | 16—7 | 18 |
| „დილა“ (გორი) | 15 | 6 | 6 | 3 | 17—11 | 18 |
| „დინამო“ (ბათუმი) | 14 | 7 | 3 | 4 | 25—17 | 17 |
| „ტრუდი“ (ვორონეჟი) | 14 | 6 | 5 | 3 | 20—13 | 17 |
| „მაშინოსტროიტელი“ (პოდოლ.) | 15 | 7 | 3 | 5 | 14—15 | 17 |
| „სალუტი“ (ბელგოროდი) | 14 | 4 | 7 | 3 | 11—11 | 15 |
| „დინამო“ (ბრიანსკი) | 14 | 5 | 4 | 5 | 15—18 | 14 |
| „დინამო“ (სოხუმი) | 14 | 4 | 5 | 5 | 16—18 | 13 |
| „კოლხეთი“ (ფოთი) | 14 | 4 | 5 | 5 | 15—18 | 13 |
| „ზვეზდა“ (ტირასპოლი) | 14 | 5 | 3 | 6 | 9—12 | 13 |
| „ხიმიკი“ (ნოვომოსკოვსკი) | 15 | 3 | 6 | 6 | 14—19 | 12 |
| „გურია“ (ლანჩხუთი) | 14 | 4 | 3 | 7 | 17—23 | 11 |
| „კალიტვა“ (ბელაია კალიტვა) | 15 | 3 | 5 | 7 | 13—20 | 11 |
| „მეტალურგი“ (რუსთავი) | 14 | 3 | 5 | 6 | 7—14 | 11 |
| „სპარტაკი“ (ორიოლი) | 16 | 1 | 7 | 8 | 11—19 | 9 |
| „შრომითი რეზერვები“ (კურსკი) | 14 | 1 | 3 | 10 | 8—28 | 5 |

## მეორე გამარჯვება

კასპიისკი, 4 ივლისი (დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.). აქ გრძელდება ნორჩ ფეხბურთელთა საკავშირო ნახევარფინალური ტურნირი „სიჭაბუკის თასზე“.

ქართველ ფეხბურთელთა მეტოქე ამ დღეს იყო სომხეთის ნაკრები. ჩვენმა გუნდმა საუცხოოდ ითამაშა და მეორე გამარჯვება მოიპოვა, ამჯერადაც ანგარიშით 3:0. ბურთები გაიტანეს უანავამ, ზურკაძემ და იმიაძემ.

აზერბაიჯანისა და ყაზახეთის გუნდების შეხვედრა დამთავრდა აზერბაიჯანის წარმომადგენელთა გამარჯვებით — 1:0. ლატვიელებმა ასეთივე ანგარიშით მოუგეს თურქმენეთის ნაკრებს.

ყაზახეთისა და თურქმენეთის გუნდების შეხვედრაში მოგება ჩაეთვალა ყაზახეთის ნაკრებს.

ნ. ამირეჯიბი.

### რესპუბლიკურ ფედერაციაში

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ახსენებს რესპუბლიკის საფეხბურთო თასის გათამაშებაში მონაწილეობის მსურველებს, რომ განაცხადების მიღების უკანასკნელი ვადაა 13 ივლისი.

$19^{45}$

◆ ვარშავა, 5 ივლისი. სოციალისტური ქვეყნების მოჭადრაკეთა ტურნირში მინსკელმა ვ. სიდიაკმა I ადგილი დაიკავა ესპადრონისტთა შორის: ფინალში ოთხი გამარჯვება იზეიმა. მომდევნო ადგილებზეც საბჭოთა სპორტსმენები არიან: ლენინგრადელი ე. ვინოკუროვი, მოსკოვის ოლქის წარმომადგენელი ვ. ნაზლიმოვი (3-8 მოგება), ომსკელი ვ. ბაჟენოვი (2).

რესპუბლიკის ჩემპიონატის პირველი წრის ბოლო ტურის მატჩები ასე დამთავრდა: „ლოკომოტივი“ (თბილისი) — „კოლხეთი“ (ხობი) 3:1, „ივერია“ (ხაშური) — „ეგრისი“ (ცხაკაია) 3:1, „გიგანტი“ (ლაითური) — „მეტალურგი“ (ზესტაფონი) 0:2, „სულორი“ (ვანი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 1:1, „სამცხე“ (აწყური) — „დინამო“ (ზუგდიდი) 1:5, „ისანი“ (თბილისი) — „ვარკეთილი“ (გარდაბანი) 0:0, „ქართლი“ (გორის რაიონი) — „კახეთი“ (თელავი) 1:2, „ფეიქარი“ (წულუკიძე) — „ლოკომოტივი“ (სამტრედია) 0:2, „განთიადი“ (ბორჯომი) — „მეშახტე“ (ტყიბული) 0:3.

დაიწყო გათამაშების მეორე წრე, რომლის პირველი მატჩები 1 და 2 ივლისს შედგა.

● „კოლხეთი“ (ხობი) — „მეშახტე“ (ტყიბული) 0:0. მსაჯი გ. გვანცელაძე (თბილისი).

● „განთიადი“ (ბორჯომი) — „ლოკომოტივი“ (სამტრედია) 2:3. მსაჯი ა. აბულაშვილი (თბილისი).

პირველ წარმატებას 33-ე წუთზე მიაღწიეს ბორჯომელებმა (გუგუბერიძე). ორიოდე წუთი გავიდა და მათ თამაშის ცენტრიდან დაწყება მოუხდათ დვალიშვილის ზუსტი დარტყმის შემდეგ. ტაიმის დასასრულს უკვე სამტრედიელები დაწინაურდნენ (ბარდაკოვი), მაგრამ ბოლო წუთებზე წიქარიშვილმა კარგად გამოიყენა „ლოკომოტივის“ საჯარიმო მოედანზე დაშვებული შეცდომა და თანაფარდობა აღადგინა — 2:2. შესვენების შემდეგ სტუმრებმა ხელთ იგდეს ინიციატივა, რაც კალაძის გადამწყვეტი გოლით დამთავრდა.

მსაჯთან კამათისთვის გაფრთხილებული არიან სამტრედიელი თ. კოხრეიძე და ბორჯომელი დ. სუხიაშვილი.

● „შუქურა“ (ქობულეთი) — „სალხინო“ (გეგეჭკორი) 0:0. მსაჯი ნ. დუბროვინი (თბილისი).

დისციპლინის დარღვევისთვის გაფრთხილება მიეცა გეგეჭკორელ ა. დანელიას.

● „ისანი“ (თბილისი) — „დინამო“ (ზუგდიდი) 0:2. მსაჯი მ. ნადიროვი (რუსთავი).

პირველ ტაიმს შედეგი არ მოუცია. შემდგომში ზუგდიდელები საგრძნობლად გააქტიურდნენ, თანაც უხეში შეცდომებით თამაშობდა ისნელთა მეკარე ბედენაშვილი და აი, 75-ე და მე-80 წუთებზე კემულარიამ ორი ბურთი გატანა თბილისელთა კარში.

● „სამცხე“ (აწყური) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 3:2. მსაჯი ტ. ნიშნიანიძე (ქუთაისი).

● „სულორი“ (ვანი) — „მეტალურგი“ (ზესტაფონი) 1:0. მსაჯი მ. სიჭინავა (გუდაუთა).

● „გიგანტი“ (ლაითური) — „ეგრისი“ (ცხაკაია) 2:2. მსაჯი ლ. ვერულიძე (ბათუმი).

ლაითურელებმა კარგად ჩაატარეს პირველი ტაიმი და დაწინაურდნენ ანგარიშით 2:0 (ჩარკვიანი, ცანავა). მეორე ტაიმში „ეგრისი“ კოლექტივირად, დიდი მონდომებით იბრძოდა და ქაჩიბაიამ შეძლო ორივე ბურთის გაქვითვა.

## საქართველოს პირველობა

მსაჯთან კამათისთვის გაფრთხილებული არიან ცხაკაიელი ა. კვიტაიშვილი და ლაითურელი ნ. ჭანუყვაძე.

● „ივერია“ (ხაშური) — „ლოკომოტივი“ (თბილისი) 0:2. მსაჯი ტ. ნიშნიანიძე (ქუთაისი).

ლოკომოტიველებმა ორივე ბურთი მეორე ტაიმში გაიტანეს (გაგუა, დემეტრაშვილი).

თბილისის „ლოკომოტივი“, რომელსაც სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ვ. ელოშვილი ამზადებს, 1953-54 წლებში დაბადებული პერსპექტიული ფეხბურთელებითაა დაკომპლექტებული. გუნდის ძირითადი მიზანია რესპუბლიკის ოსტატთა გუნდებისთვის რეზერვების მომზადება. წლეულს გორის „დილას“ შემადგენლობაში გამოდიან ლოკომოტიველები ადუაშვილი და ქერდიკაშვილი, რუსთავის „მეტალურგში“ — ტეტელაშვილი, თბილისის „დინამოს“ სათადარიგო შემადგენლობაში — სართანია, გაგუა, ჯინჭარაძე.

● „ქართლი“ (გორის რაიონი) — „ვარკეთილი“ (გარდაბანი) 3:1. მსაჯი თ. კალანდაძე (თბილისი).

### II ჯგუფი

#### I ზონა

„შირაქი“ (წითელი წყარო) — „კოლმეურნე“ (ტიბაანი) 1:1, „მევენახე“ (ბოლნისი) — „მევენახე“ (ვაზისუბანი) 1:2, „დურუჯი“ (ყვარელი) — „ვაზი“ (შრომა, გურჯაანის რაიონი) 1:2, „გარისი“ (თეთრი წყარო) — „მესხეთი“ (ახალციხე) 0:2, „თრიალეთი“ (წალკა) — „ალაზანი“ (გურჯაანი) 1:0, „არაგვი“ (დუშეთი) — „ჰერეთი“ (ლაგოდეხი) 1:2.

#### II ზონა

„განთიადი“ (აბაშა) — „ამირანი“ (ოჩამჩირე) 0:2, „კომეტა“ (ფოთი) — „ჩიხურა“ (საჩხერე) 1:0, ხის დამმუშავებელი კომბინატი (სამტრედია) — „კოლმეურნე“ (ჩხოროწყუ) 1:7, „ბახმარო“ (ჩოხატაური) — „განახლება“ (ადიგენი) 3:4, „სამგურალი“ (წყალტუბო) — „ავტომობილისტი“ (მაიაკოვსკი) 3:3, „დინამო“ (ქუთაისი) — „მაღაროელი“ (ჭიათურა) 0:0, „იმერეთი“ (თერჯოლა) — „სქური“ (წალენჯიხა) 2:0, „მზიური“ (გალი) — „დიოსკურია“ (სოხუმი) 1:2.

### ზონალური პირველობა

„ქისტაური“ (ახმეტა) — „ძველი ანაგა“ (სიღნაღი) 2:0, „მუკუზანი“ (გურჯაანი) — „იორი“ (თიანეთი) 6:1, „სოფლტექნიკა“ (თელავი) — „ნაფარეული“ (თელავი) 4:1, „განთიადი“ (მარნეული) — „ფარვანა“ (ბოგდანოვკა) 7:1, „ლიახვი“ (გორი) — „აბული“ (ახალქალაქი) 6:1, „არაგვი“ (მცხეთა) — „რაიკავშირი“ (დმანისი) 7:1, „მეხალიჩე“ (ცხაკაია) — „ავტომობილისტი“ (სამტრედია) 2:1, „ყინწვისი“ (ქარელი) — „მშენებელი“ (ჭიათურა) 3:1, „ლაშე“ (მახარაძე) — „კოლმეურნე“ (ლანჩხუთი) 4:1.

### გათამაშების ცხრილი

#### I ჯგუფი

მდგომარეობა 6 ივლისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ლოკომოტივი“ (სამტრედია) | 21 | 14 | 5 | 2 | 37—22 | 33 |
| „დინამო“ (ზუგდიდი) | 21 | 13 | 6 | 2 | 35—10 | 32 |
| „მეშახტე“ (ტყიბული) | 21 | 13 | 5 | 3 | 40—16 | 31 |
| „სალხინო“ (გეგეჭკორი) | 20 | 10 | 6 | 4 | 35—20 | 26 |
| „შუქურა“ (ქობულეთი) | 21 | 10 | 6 | 5 | 27—25 | 26 |
| „სულორი“ (ვანი) | 20 | 9 | 6 | 5 | 20—12 | 24 |
| „კოლხეთი“ (ხობი) | 20 | 9 | 4 | 7 | 21—21 | 22 |
| „ლოკომოტივი“ (თბილისი) | 21 | 7 | 7 | 7 | 34—26 | 21 |
| ფიზკ. ინსტ. (თბილისი) | 21 | 7 | 7 | 7 | 26—24 | 21 |
| „სამცხე“ (აწყური) | 21 | 8 | 5 | 8 | 32—34 | 21 |
| „კახეთი“ (თელავი) | 20 | 8 | 4 | 8 | 23—23 | 20 |
| „ეგრისი“ (ცხაკაია) | 21 | 8 | 4 | 9 | 23—27 | 20 |
| „მეტალურგი“ (ზესტაფონი) | 21 | 8 | 3 | 10 | 23—34 | 19 |
| „გიგანტი“ (ლაითური) | 21 | 5 | 7 | 9 | 14—22 | 17 |
| ასკ (თბილისი) | 17 | 6 | 4 | 7 | 22—19 | 16 |
| „ისანი“ (თბილისი) | 20 | 5 | 6 | 9 | 21—26 | 16 |
| „ივერია“ (ხაშური) | 21 | 6 | 4 | 11 | 17—36 | 16 |
| „ქართლი“ (გორის რაიონი) | 21 | 7 | 1 | 13 | 35—37 | 15 |
| „ვარკეთილი“ (გარდაბანი) | 20 | 5 | 4 | 11 | 15—25 | 14 |
| „განთიადი“ (ბორჯომი) | 21 | 1 | 8 | 12 | 21—36 | 10 |
| „ფეიქარი“ (წულუკიძე) | 20 | 3 | 4 | 13 | 9—35 | 10 |

## სტანკოვიჩი რაპირას „ლესავს“

მას შემდეგ, რაც სსრ კავშირის რაპირისტთა უძლიერესმა ოთხეულმა — მ. მიდლერმა, ვ. ჟდანოვიჩმა, გ. სვეშნიკოვმა და ი. სისიკინმა სარბიელი დატოვეს, ლვოველ ვ. სტანკოვიჩზე ძლიერი მოფარიკავე ამ სახეობაში საბჭოთა კავშირში აღარ არის. მართლაც, სტანკოვიჩი აშკარად გამოირჩევა კაშკაშა ნიჭით ქვეყნის ახლანდელი ნაკრების წევრებისგან. ალბათ იშვიათია მოფარიკავე, რომელსაც ერთ წელიწადს მოეგოს თავისი ქვეყნის პირველობა, მსოფლიო ჩემპიონატი და ბევრი სხვა საერთაშორისო და საკავშირო ტურნირი. სტანკოვიჩმა ეს შეძლო და სამართლიანადაც დაასახელეს მსოფლიოს პირველ რაპირად შარშან.

და მაინც, წლევანდელი სეზონი სტანკოვიჩისთვის არც ისე იღბლიანად დაიწყო. ამას წინათ „ჯოვანინის თასზე“ ბოლონიაში გამართულ შეჯიბრებაში მან მხოლოდ VII ადგილი დაიკავა.

და აი, ვარშავაში სოციალისტური ქვეყნების საერთაშორისო შეჯიბრებაში, რომელშიც 48 სპორტსმენი იბრძოდა, სტანკოვიჩმა I ადგილი დაიკავა (ფინალში ოთხი ორთაბრძოლა მოიგო), რაც იმაზე მეტყველებს, რომ შარშანდელი მსოფლიო ჩემპიონი თავის ჩვეულ სპორტულ ფორმაში შედის. მასზე მუდამ ამბობენ: სეზონის დასაწყისში ვასილს არ სჭირდება წვრილ-წვრილ შეჯიბრებებში მაინცდამაინც გამარჯვებისთვის ზრუნვა, ვინაიდან რაპირას ოლიმპიადისთვის ლესავსო. ეტყობა ამ ვარაუდს ლვოველი სპორტსმენი ამართლებს.

მალე იგი გამოვა საკავშირო ჩემპიონატში, რომელიც ტალინში დაიწყება 19 ივლისს.

ა. გურული.



## ახალი ცხოვრების კარიბჭესთან

სოფში დაიბადა. ქართველი კაცისთვის ჩვეული სითბო და დაუდგრომლობა მაინც დაჰყვა.

კარგი ამახსოვრდება, ცუდს ივიწყებს.

სიცუდის ჩადენა, რომ უნდოდეს კიდეც, არ შეუძლია.

ცოტა ხანს თუ უმეგობრე, მერე ვერ წარმოუდგენია, შენი განაწყენება თუ შეიძლება.

ხუმრობის ნიჭი აქვს უთუოდ, თვადაც იცის ხუმრობის ყადრი.

ბევრი თანატოლისგან განსხვავებით, ჯაზური მუსიკაც უყვარს და კლასიკურიც.

ზოგჯერ, შეღამების ჟამს, საბურთალოს სასაფლაოზე შ. იამანიძის საფლავის წინ თავჩაღუნული დგას და იმ ბავშვის სახე აქვს, სადაა რომ ატირდება...

ოცი წლის მანძილზე ბევრი ადამიანური სიამოვნება დაუკლია იმ საქმის გამო, რომელსაც ემსახურებოდა. ერთხელაც არ უნანია.

შინ თუ საზღვარგარეთ ბევრი ავტოგრაფი დაურიგებია...

ვისთვის, რომელი ერის წარმომადგენლისთვის არ მიუცია ინტერვიუ?

სიყვარულის გაგებაც შეუძლია და მიღებაც.

ესმის, ჩვენი ქვეყანა ნიჭის გამოვლინებაში რარიგ შეეშველა. იცის და თვითონაც ვალში არ დარჩენილა.

სადაც უნდა იყოს, ყველა აკვირდება, თითქმის ყოველი მეათე სალამს ეუბნება. თვითონაც სალამს მიაგებებს. მათგან ნახევარს არც იცნობს თურმე.

ამერიკაში, ევროპაში, საბჭოთა გარინჩას ეძახდნენ.

მესხის ერთმა მეგობარმა პროფესორმა ამას წინათ თქვა: მიმას მიაჩნია, რომ მოსკოვის „ტორპედოში“ თამაშის წლებში სლავა ზოგჯერ გარინჩაზე ძლიერიც იყოო.

სლავა კი ისე იქცევა, ვითომც არაფერიო.

იგი უნივერსიტეტში სწავლობდა ვაჭრობის ეკონომიკის სპეციალობით. ახლახან სახელმწიფო გამოცდა ჩააბარა პოლიტიკურ ეკონომიკაში და ახალი ცხოვრებისთვის ემზადება.

მურმან ტურავა.

• • •

სურათზე: ს. მეტრეველი სახელმწიფო გამოცდას აბარებს პოლიტიკურ ეკონომიაში. მარცხნიდან — საგამოცდო კომისიის წევრები, დოცენტი შ. ხაჰაპურიძე, დოცენტი ნ. ჭავჭანიძე, პროფესორი მ. კახეთელიძე, დოცენტი ი. ქვაჩახია, კომისიის მდივანი გ. ფარაჯეევა და ს. მეტრეველი.

# ცნობები სოციალისტური ქვეყნებიდან

სოფია, 5 ივლისი. ბულგარეთში ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებაში დიდი წვლილისთვის ფიზკულტურის ინსტიტუტი, რომელიც წლეულს არსებობის 30 წლისთავს იხდის, „გიორგი დიმიტროვის" ორდენით დაჯილდოვდა. ეს უმაღლესი სასწავლებელი ბევრმა საქვეყნოდ ცნობილმა სპორტსმენმა დაამთავრა, რომლებიც შემდგომ კვალიფიციური მასწავლებლები გახდნენ. ინსტიტუტში 16 კათედრა და 5 სამეცნიერო სექციაა.

ბერლინი, 5 ივლისი. გდრ-ის ბავშვთა და ჭაბუკთა IV სპარტაკიადის ფინალურ შეჯიბრებებში 10 ათასი ნორჩი სპორტსმენი იასპარეზებს. სპარტაკიადის სტარტებამდე სამი კვირით ადრე მონაწილეთა მისაღებად მზადაა დედაქალაქის ყველა 36 სპორტული ბაზა და სასროლეთი ლაიპციგში. ტრადიციისამებრ, ერთ-ერთ ყველაზე დიდ გუნდს დრეზდენი გამოიყვანს — პროგრამის 18 სახეობაში 850 დრეზდენელი იასპარეზებს.

ბუქარესტი, 5 ივლისი. დედაქალაქის „რაპიდის" ფეხბურთელთა გუნდმა მეშვიდედ მოიგო რუმინეთის თასი: ფინალში ანგარიშით 2:0 სძლია პეტროშენის „ჟიულს". ამ მატჩით დამთავრდა 1971-72 წლების საფეხბურთო სეზონი რუმინეთში.

ბუდაპეშტი, 5 ივლისი. ფრენბურთელ ვაჟთა ტურნირში ადგილები ასე განაწილდა: 1. გდრ-ის ნაკრები, 2. რუმინეთის ეროვნული გუნდი, 3. ჩეხოსლოვაკიის ნაკრები, 4. უნგრეთის კოლექტივი.

ბელგრადი, 5 ივლისი. ხელბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირში იუგოსლავიის ნაკრებმა ხუთივე მატჩი მოიგო. II ადგილი დაიკავა ჩეხოსლოვაკიის ეროვნულმა გუნდმა, ხოლო III — გდრ-ის ნაკრებმა.

# მსოფლიო ჩემპიონის სამართლიანი მოთხოვნა

„ფიშერმა დაარღვია შეჯიბრების წესი, როცა მატჩის საზეიმო გახსნაზე არ ჩამოვიდა. ამით მან შეურაცხყო პირადად მე და სსრ კავშირის ჭადრაკის ფედერაცია, რომლის წარმომადგენელიც მე ვარ. საბჭოთა საზოგადოებრიობა და პირადად მე აღშფოთებული ვართ ფიშერის საქციელით. თუ ადამიანური თვალსაზრისით მივუდგებით, მან საბოლოოდ გაიტეხა სახელი. ამასთან, ჩემს თვალში უკვე საეჭვო გახდა ფიშერის მორალური უფლება მსოფლიო პირველობაზე მატჩის თამაშისა. ახლა საიმისოდ, რომ მატჩის ჩატარების რაიმე იმედი კიდევ დარჩეს, ფიშერი ღირსეულად უნდა დაისაჯოს. მხოლოდ მაშინ შეიძლება მატჩის ჩატარებაზე კიდევ ვილაპარაკო", — ასეთი განცხადება გადასცა მსოფლიო ჩემპიონმა ბორის სპასკიმ ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციის ხელმძღვანელობას.

... 12 საათი არც იყო, როცა სასტუმრო „ესიაში" თავი მოიყარეს ფიდე-ს პრეზიდენტმა მაქს ეივემ, მატჩის მთავარმა მსაჯმა ლოტარ შმიდმა, ისლანდიის ჭადრაკის ფედერაციის მესვეურებმა, ჟურნალისტებმა.

რობერტ ფიშერი დღეს რეიკიავიკში ჩამოვიდა, მაგრამ კვლავ ყველას მიმართ უპატივცემლობა გამოიჩინა და 12 საათისთვის დანიშნულ ამ თათბირზე არ გამოცხადდა.

სამაგიეროდ, დარბაზში გამოჩნდა მღვდლის ანაფორით შემოსილი კაცი, რომელიც დღევანდლამდე რეიკიავიკში არავის უნახავს. მან ორგანიზატორებს წარუდგინა ფიშერის წერილობითი რწმუნება და განაცხადა, რომ კენჭისყრაში ამერიკელი დიდოსტატის მაგიერ მიიღებდა მონაწილეობას. თურმე ნუ იტყვით, ფიშერს ამ დროს არ ეცალა: ეძინა.

საბჭოთა დელეგაციის ხელმძღვანელმა, საერთაშორისო დიდოსტატმა ეფიმ გელერმა ფიდე-ს პრეზიდენტ მაქს ეივეს ასეთი განცხადება გადასცა:

„ფიდე-ს გადაწყვეტილებით, სპასკი — ფიშერის მატჩი მსოფლიო პირველობაზე რეიკიავიკში უნდა ჩატარებულიყო. პირველი პარტია 1972 წლის 2 ივლისისთვის დაინიშნა (იხილე ფიდე-ს პრეზიდენტის 1972 წლის 5 მაისის წერილი). საერთაშორისო ფედერაციის გადაწყვეტილების თანახმად, მატჩი უნდა ჩატარებულიყო 1972 წლის 20 მარტის შეთანხმებისა და ფიდე-ს წესების საფუძველზე, აგრეთვე, ისლანდიის ჭადრაკის ფედერაციის წინადადების შესაბამისად.

1972 წლის 1 ივლისს მოეწყო მატჩის საზეიმო გახსნა, რომელსაც დაესწრნენ ისლანდიის პრეზიდენტი, მთავრობის წევრები, ქალაქ რეიკიავიკის მერი, სსრ კავშირის ელჩი და აშშ-ს საქმეთა დროებითი რწმუნებული, ფიდე-ს პრეზიდენტი, მატჩის მთავარი არბიტრი, ისლანდიის ჭადრაკის ფედერაციის წარმომადგენლები და სხვა პირები. მატჩის გახსნაზე მსოფლიო ჩემპიონი იყო, პრეტენდენტი კი არ გამოცხადებულა. მიზეზი გაუგებარია.

არსებული ტრადიციის საწინააღმდეგოდ, კენჭისყრა მომდევნო დღისთვის, 11 საათისა და 45 წუთისთვის გადაიტანეს. ეს ფაქტი მატჩის მთავარმა არბიტრმა გვაცნობა.

2 ივლისს კენჭისყრისა და პირველი პარტიის ჩატარების ნაცვლად ფიდე-ს პრეზიდენტმა კენჭისყრაც და პირველი პარტიაც ორი დღით გადადო, რაც რ. ფიშერის ავადმყოფობით ახსნა, თუმცა საამისოდ არავითარი საბუთი არ ჰქონდა.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ ფიდე-ს პრეზიდენტის ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება არღვევს ამსტერდამის შეთანხმებას, არღვევს ფიდე-ს წესებს და ეწინააღმდეგება მის საკუთარ წერილს, რომელიც ა. წ. 5 მაისითაა დათარიღებული. ფიდე-ს პრეზიდენტმა მთავარ არბიტრს თავისი ფუნქციების შესრულების საშუალება წაართვა. ამასთან დაკავშირებით დაირღვა ამსტერდამის შეთანხმების მე-5 და მე-6 პუნქტებიც.

ფიდე-ს პრეზიდენტის გადაწყვეტილებამ გამოიწვია დარღვევა მატჩის განრიგისა, რომელიც დადგენილი იყო ამსტერდამის შეთანხმების მე-7 პუნქტით და პრეზიდენტის 1972 წლის 5 მაისის წერილით. პრეზიდენტის გადაწყვეტილებამ გამოიწვია, აგრეთვე, დარღვევა ფიდე-ს წესების მე-7 სტატიის 50-ე პუნქტისა, რომლითაც ერთ-ერთი მონაწილის ავადმყოფობასთან დაკავშირებით მატჩის დაწყების გადატანის შესაძლებლობაა განსაზღვრული. ჩვენ ამის გამო გადაჭრით პროტესტს ვაცხადებთ და მოვითხოვთ სანქციას ფიშერის მიმართ ფიდე-ს წესების შესაბამისად".

გელერმა თქვა, რომ ამ განცხადებით გამოსვლა მას მსოფლიო ჩემპიონ ბორის სპასკისგან აქვს დავალებული.

მას შემდეგ, რაც განცხადება გადასცეს ფიდე-ს პრეზიდენტს, სპასკიმ და გელერმა სასტუმრო დატოვეს.

ეივემ ჟურნალისტებს წაუკითხა მიღებული პროტესტები და დასძინა, რომ ამასთან დაკავშირებით ჯერჯერობით ვერაფერს იტყვის, პირველი პარტია კი, როგორც ჩანს, დღეს არ შედგება.

კენჭისყრა არ ჩატარებულა.

**ა. ერმაკოვი.**
(საკდესის სპეც. კორ.).
რეიკიავიკი, 4 ივლისი.

* * *

როგორც „იზვესტიის" საკუთარი კორესპონდენტი მ. სტურუა ნიუ-იორკიდან იუწყება, ამერიკის შეერთებული შტატების ჭადრაკის ფედერაციამ საბოლოოდ დაიბანა ხელი ამ საქმეში და უარყო ყოველგვარი პასუხისმგებლობა ფიშერის საქციელის გამო. ფედერაციის პრეზიდენტმა, პოლკოვნიკმა ედმონდსონმა განაცხადა: აღარ მჯერა, რომ მატჩი ჩატარდება, თუნდაც ფიშერი რეიკიავიკში ჩავიდეს და პირველი სვლაც გააკეთოსო.

# რა ხდება მატჩის კულისებში

რეიკიავიკი, 5 ივლისი. (საკდესის სპეც. კორ.). ისლანდიის დედაქალაქში ამერიკელი დიდოსტატის რ. ფიშერის ჩამოსვლასთან დაკავშირებულმა გარემოებებმა, დიდი, მეტი რომ არაფერი ვთქვათ, გაუგებრობა და გაოცება გამოიწვია. ჯერ ერთი, მან სრულიად გაუგებარი მიზეზით დააგვიანა მსოფლიო პირველობაზე სათამაშოდ. მერე, მისი ჩამოსვლა დეტექტური ფილმის კადრებს უფრო მოგაგონებდათ. ფიშერი სირბილით დაეშვა თვითმფრინავის ტრაპზე და მისთვის იქვე გამზადებული მანქანისკენ გავარდა. პოლიციელებმა ჟურნალისტები პრეტენდენტამდე არ მიუშვეს და არც ერთი შეკითხვის საშუალება არ მისცეს. ფიშერი პოლიციის მანქანების თანხლებით გაემართა გაურკვეველი მიმართულებით. იგი რეიკიავიკის ერთ-ერთ რომელიღაც კერძო ვილაში ჩამოხტა.

ფიშერის შემდგომი საქციელი ცოტა ექსტრავაგანტურიც იყო. მან მატჩის ორგანიზატორებიც კი არ ინახულა, თუნდაც უბრალო თავაზიანობის გამო, არც საჭადრაკო ფედერაციის ხელმძღვანელები უნახავს, არც თავისი მეტოქე — მსოფლიო ჩემპიონი. წილისყრაზეც კი, ტრადიციის წინააღმდეგ, ფიშერის მაგიერ მისი რწმუნებული გამოცხადდა.

რეიკიავიკის ჟურნალისტთა წრეებში ცნობილი გახდა, რომ ფიშერის მფარველთ, სრულიადაც არა ჭადრაკის ინტერესების დასაცავად, თამაშის ძალიან „ორიგინალური" ტაქტიკა დაუმუშავებიათ. ისინი თურმე მოელაპარაკნენ ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთ მსხვილ გამომთვლელ ცენტრს და განზრახული აქვთ იქ გადასცენ პარტიის ყოველი სვლა. გაგრძელებათა ვარიანტების გაანგარიშება ელვის უსწრაფესად უნდა დაბრუნდეს რეიკიავიკში....

უნდა მოგაგონოთ, რომ პარტიის ყოველი სვლის პირველ რიგში გადაცემის მონოპოლიური უფლება ერთ-ერთმა ამერიკულმა კომპანიამ იყიდა (უპრეცედენტო შემთხვევაა!). მტკიცდება, რომ ეს გარკვეული მიზნითაა გაკეთებული.

ფიშერისა და მისი მფარველების მანიპულაციები ამტკიცებს, რომ მათთვის ჭადრაკი როდია ძვირფასი, ისინი სპორტისგან ძალიან დაშორებული მიზნისთვის იბრძვიან. მათი წყალობით შექმნილი აჟიოტაჟი და მოვების წყურვილი პატიოსნური ბრძოლის იდეას შეურაცხყოფს.

# ფერების დრო აღარ არის

ისლანდიის დღევანდელი გაზეთები პირველ გვერდებზე ბეჭდავენ ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონ ბ. სპასკის განცხადებას და საბჭოთა დელეგაციის ხელმძღვანელის, საერთაშორისო დიდოსტატ ე. გელერის პროტესტს (წინა ნომრებში მათ მთლიანად დაბეჭდეს სსრ კავშირის ჭადრაკის ფედერაციის განცხადება).

გაზეთები წერენ, რომ ფიშერი ავად არ ყოფილა და ამიტომ რეიკიავიკში მისი ასეთი. დაგვიანებით ჩამოსვლის გამართლება არ შეიძლება. მათ მოჰყავთ სპასკის სიტყვები, რომ მსოფლიო ჩემპიონს არც ფიდე-ს პრეზიდენტ მ. ეივესთვის და არც ვინმე სხვისთვის თანხმობა არ მიუცია მატჩის ორი დღით გადატანაზე. როგორც გაზეთები წერენ, ეს ეივემაც აღიარა.

ეივე დაიბნა. იგი გაუთავებლად ელოლიავებოდა პრეტენდენტს, ახლა კი ფერების დრო აღარ არის. 4 ივლისს პრეზიდენტი მთელ დღეს ემალებოდა ჟურნალისტებს, მაგრამ საღამოს იძულებული შეიქნა პრეს-კონფერენცია მოეწყო. შეხვედრა ძალიან ცოტა ხანს გაგრძელდა და ნაკლები მნიშვნელობაც ჰქონდა. აქ ეივემ მხოლოდ იმედი გამოთქვა, რომ „შეთანხმება" მოხდება და მატჩი ხუთშაბათს დაიწყება.

ეივე ამ პრეს-კონფერენციაზე ცდილობდა ხმა არ ამოეღო ფიშერზე, რომელიც რეიკიავიკის რომელიღაც კერძო ვილაში მოეწყო და, როგორც ჩანს, ფიდე-ს პრეზიდენტისგან ისევ შეღავათს ელის...

ეივემ პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, რომ ფიშერის ოფიციალური რწმუნებული ლომბარდი და ამერიკელი ადვოკატი მარშალი, რომელიც დიდი ხანია დაიქირავა ფიშერმა, საბჭოთა დელეგაციას ეწვივნენ და ესაუბრნენ.

მართლაც, საუბარი იყო. ამერიკელებმა საბჭოთა დელეგაციას მიღება სთხოვეს და მათთვის უარი არავის უთქვამს. მაგრამ ამ საუბარს მატჩის სახსნელად არავითარი პრაქტიკული წინადადება არ მოჰყოლია.

**ა. ერმაკოვი.**
(საკდესის სპეც. კორ.).
რეიკიავიკი, 5 ივლისი.

# ამერიკელები ფიშერს ამტყუნებენ

ნიუ-იორკი, 5 ივლისი. ამერიკის ჭადრაკის მოყვარულები აღშფოთებული არიან რობერტ ფიშერის საქციელით. ისინი ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ამერიკელი დიდოსტატი, ფაქტიურად, შლის მატჩს ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონის წოდებაზე, როცა ასეთ უპატივცემლობას იჩენს მსოფლიო ჩემპიონ ბორის სპასკისადმი, მატჩის ორგანიზატორებისადმი, მთელი სპორტული საზოგადოებრიობისადმი.

„ბობის გულშემატკივრებს ყელში ამოუვიდათ ეს დამალობანას თამაში", — წერს ნიუ-იორკის გაზეთ „დეილი ნიუსის" ჭადრაკის მიმომხილველი დ. ჰირში. იგი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ფიშერის საქციელი აღშფოთებას იწვევს მისი საჭადრაკო ნიჭის ყველაზე მხურვალე თაყვანისმცემელთა შორისაც კი.

— მე ბობი პატარა ბიჭობიდან მახსოვს, — განაცხადა ერთ-ერთმა მათგანმა, — მაგრამ ახლა მის მიმართ ზიზღის მეტს არაფერს ვგრძნობ. ერთადერთი, რისკენაც იგი მიილტვის, ფულია.

— ფიშერის წინასწარი განცხადებები იოლ გამარჯვებაზე მარტო მის ნეგრასთენიკობას ამტკიცებს, — თქვა ბრუკლინელმა მასწავლებელმა დ. პრაისმა. — მან ჩაშალა მატჩის თაობაზე შეთანხმება, ეს კი ხელშეკრულების დარღვევას უდრის.

— ფიშერის საქციელი, — აღშფოთებით შენიშნა ერთ-ერთმა ნიუიორკელმა ჭადრაკის მოყვარულმა, — ცირკის „შოუს" დაემგვანა.

ნიუ-იორკში საკდესის განყოფილებაში ამერიკელები ტელეფონით რეკავენ და საჭადრაკო კომერსანტის არაეთიკურ საქციელს კიცხავენ.

— სირცხვილით ვიწვი ბობის მაგიერ და სპასკის გადაწყვეტილება სრულიად სამართლიანად მიმაჩნია, — განაცხადა, მაგალითად, მ. ეიბლმა.

ინჟინერმა ე. გიურიასაომ „დეილი ნიუსის" კორესპონდენტს უთხრა:

— მე სპასკის ვერ გავამტყუნებ. ბოლოს და ბოლოს, როდემდე უნდა ეცადა თავისი პარტნიორის გამოცხადებისთვის?

**ნ. სეტუნსკი.**
(საკდესის კორ.).

იყო... 19 45

◆ **ხვარი**, 5 ივლისი. იუგოსლავიის ამ ქალაქში სტარტი აიღო ევროპის იუნიორთა II ჩემპიონატმა კლასიკურ ჭიდაობაში. მახაჩყალელმა ახმეტოვმა (48 კგ-მდე) აშკარა უპირატესობით აჯობა ჰიმცს (გფრ), ბაქოელმა ალიევმა კი ფრანგი ლომბუტო დაამარცხა. შეჯიბრებაში 17 ქვეყნის 250 მოჭიდავე მონაწილეობს. ჩემპიონთა ვინაობა ხუთშაბათს გახდება ცნობილი. 6 ივლისს ოქროს მედლებისთვის ბრძოლაში თავისუფალი სტილის ათლეტები ჩაებმებიან.

◆ **ოსლო**, 5 ივლისი. საერთაშორისო შეჯიბრებაში მოასპარეზე პოლონელმა ა. კუპჩიკმა 800 მეტრზე რბენაში თავისი ქვეყნის მძლეოსნობის ერთ-ერთი უძველესი რეკორდი (იგი 1945 წლიდან იდგა ურყევად) დაამხო, როცა ზემოაღნიშნული მანძილი 1 წუთსა და 46,3 წამში გაირბინა. კუპჩიკის რეკორდი რიგით მეცამეტეა, წლეულს პოლონელმა მძლეოსნებმა რომ დაამყარეს.

◆ **დუშანბე**, 5 ივლისი. სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ალპინიადის მონაწილენი, რომლებმაც ტაჯიკეთის დედაქალაქში მოიყარეს თავი, დღეს პამირში გაემგზავრნენ. თვითმფრინავები მთამსვლელებს პამირის მისადგომებთან მდებარე რაიონულ ცენტრ ჯირგატალში ჩაიყვანს. აქ სათავე დაედება „საჰაერო ხიდს" ალპინიადის საბაზო ბანაკისკენ — ფორტამბეკის ყინვარისკენ (3900 მ ზღვის დონიდან). აქვე მოთავსდება ალპინიადის შტაბი ვ. აბალაკოვის მეთაურობით. შტურმის მონაწილენი — სსრ კავშირისა და რვა სოციალისტური ქვეყნის მთამსვლელები საბაზო ბანაკში აკლიმატიზაციას გაივლიან. ამასობაში სპეციალური ჯგუფები კომუნიზმის პიკისკენ (7495 მ) დაზვერენ გზებს.

იყო... 19 45

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

**თბილისი**

**კალათბურთი.** სპორტის სასახლე. 8-13 ივლისი. სტუდენტთა VI საზაფხულო სპორტული თამაშები. მონაწილეობენ სსრ კავშირის უმაღლესი სასწავლებლების ქალთა და ვაჟთა უძლიერესი გუნდები. დასაწყისი: 8-9 ივლისს — 10 ს., 10-13 ივლისს — 15 ს.

**ფეხბურთი.** საქართველოს პირველობა. 8 ივლისი. ასკ-ს სტადიონი. ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „ისანი" (თბილისი). დასაწყისი 17 ს. „ლოკომოტივის" სტადიონი. (ჭავჭავაძის პრ. № 74). „ლოკომოტივი" (თბილისი) — „ავანგარდი" (ლაითური). 18 ს.

ИНДЕКС 66448 — საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14. — უე 05501